

# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 29

24 დეკემბერი 2018 წელი  
ხაშური

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, ირინე გელაშვილი, ელგუჯა გოგალაძე, მიხეილ კაპანაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაყვალა მასისურაძე, დავით მეტრეველი, იმედა მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ნოვე ტაბატაძე, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე; საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნუგზარ გოცირიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებს. მან საკრებულოს რიგით 29-ე სხდომა გახსნილად გამოაცხადა 15:00 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 21 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

## დღის წესრიგი:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 21

წინააღმდეგი - არცერთი  
(დანართი თან ერთვის)

## მოისმინეს:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის 48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე  
მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი  
თანამომხსენებელი - ნუგზარ გოცირიძე  
საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ნუგზარ გოცირიძის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 დეკემბრის № 2407 განკარგულებით ცვლილება შევიდა „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის

გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულებაში, აღნიშნული განკარგულებით შემცირდა დაბა სურამი 26 მაისის ქუჩის მონაკვეთზე ბეტონის საფარის და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხა;

*აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, ელგუჯი გოგალაძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.*

*ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა*

*(დადგენილება ოქმს თან ერთვის)*

*(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)*

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის „2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - ნუგზარ გოცირიძე

საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი სპეციალისტის ნუგზარ გოცირიძის ინფორმაციით, რადგან მოხდა ცვლილებების შეტანა „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №48 დადგენილებაში, ეს საჭიროებს „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ცალკეული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

*აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, ემზარ მურჯიკნელმა, მიხეილ ჯანაშვილმა.*


*ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა*

*(განკარგულება ოქმს თან ერთვის)*

*(მომხრე 21, წინააღმდეგი 0)*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ ჯანაშვილი